2013 წლის 29 აგვისტო

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 143-ე - 145-ე მუხლების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ კანონპროექტს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა განპირობებულია ზემოაღნიშნულ კანონში იმ ცვლილებათა შეტანის აუცილებლობით, რომელსაც იწვევს საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებათა ის ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

გთხოვთ, მსვლელობა მისცეთ წარმოდგენილ პროექტს და განიხილოთ დაჩქარებული წესით მისი განხილვის საკითხი.

პატივისცემით,

თედო ჯაფარიძე

ანი მირზიტაძე

საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო-სამართლებრივი დეპარტამენტი
№ 07-3/148
29 08 2013
8 ფურცელი